

გადაშენებული და გადაშენების პირას მყოფი ცხოველები

ავტორი: მეგი კუთხაშვილი

მეთოდური კონსულტანტი: თამარ მოსიაშვილი, ეკა ქუთათელაძე

მასწავლებელი: მეგი კუთხაშვილი

სკოლა: სსიპ.ქ. თბილისის N 83 საჯარო სკოლა

გაკვეთილის სათაური- გადაშენებული და გადაშენების პირას მყოფი ცხოველები

კლასი საგანი- ბუნებისმეტყველება; II კლასი

სასწავლო მიზნები - გადაშენებული და გადაშენების პირას მყოფი ცხოველების შესახებ ინფორმაციის მიღება, ანალიზი, ინფორმაციის გაზიარება. ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების განვითარება.

ბუნ.II.3. მოსწავლემ უნდა შეძლოს ორგანიზმებისათვის გარემოს მნიშვნელობაზე მსჯელობა.

- აგროვებს ინფორმაციას და მსჯელობს კონკრეტული ორგანიზმის სასიცოცხლო მოთხოვნილებების(საკვები,წყალი,ნიადაგი,გარემო,ჰაერი,თავშესაფარი) შესახებ.
- ლოკალურ გარემოში იკვლევს ორგანიზმების სხვადასხვა საბინადროს(მაგ: სორო, ბუდე, სახლი).აღწერს მათი აგების თავისებურებებს

ბუნ.II. 1.მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

- ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვებზე პასუხის გასაცემად.
- იყენებს კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას(მაგ: ნახატი, ზეპირმეტყველება,ისტ) საკუთარი მოსაზრების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

მედაწიგნიერების მიზნები:

- ✓ მედიაპროდუქტში არსებული ინფორმაციის დეკოდირება;
- ✓ მედიარესურსის შექმნა.

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

ნაკრძალი- საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი, იშვიათ ცხოველთა ან მცენარეთა მოსაშენებლად და დასაცავად.

წითელი ნუსხა- იშვიათ და გადაშენების პირას მისულ მცენარეთა და ცხოველთა სახეობების სია, მათი თანამედროვე მდგომარეობის მოკლე დახასიათებით

აღმოჩენა- მიგნება, ნახვა იმისა, რაც მანამდე ცნობილი არ იყო

მკვლევარი- ვინც იკვლევს, ვინც მეცნიერულ კვლევა-ძიებას ეწევა, _ მეცნიერი

ბუნებრივი კატასტროფა- რაიმე უბედური შემთხვევა, ამბავი, რომელსაც მოსდევს უაღრესად მძიმე, საბედისწერო შედეგები

ბრაკონიერობა- ნადირობის წესების დამრღვევი; ის პირი, ვინც ნადირობს (თევზაობს) აკრძალულ ადგილებში, აკრძალული საშუალებებით ან იმ ვადებში, როცა ნადირობა აკრძალულია (ამა თუ იმ ნადირზე, ფრინველზე).

საბინადრო ადგილი- თავშესაფარი, საცხოვრებელი ადგილი.

საფრთხე- საშიში, სახიფათო რამე, – ხიფათი, საშიშროება

შენიშვნა:

ა) ახალი ლექსიკური ერთეულების სწავლებისთვის შეიძლება გამოვიყენოთ განმარტებების პასიურად მიცემა, ან გამოვიყენოთ სწავლების აქტიური მეთოდები. სასურველია ლექსიკური ერთეულები დავყოთ, ზოგის განმარტება პასიურად მივაწოდოთ, ზოგის განმარტებისთვის კი სხვადასხვა სახალისო აქტივობა გამოვიყენოთ.

მაგალითად, „წითელი ნუსხა“ ვიდეო-ჩანაწერში რამდენჯერმე არის გამოყენებული. ვიდეოშივე არის მოცემული განმარტება. სასურველია, მოსწავლეები ვიდეოს მოსმენის შემდეგ თავად მიხვდნენ მნიშვნელობას. ეს აქტიურ მოსმენაზე ვარჯიშიც იქნება და, ამას გარდა, ახალი ლექსიკური ერთეულის დასამახსოვრებლად უმჯობესია, თავად იპოვონ განმარტება, როცა ამის საშუალებას ტექსტი იძლევა.

ბ) მაგალითად, ნაკრძალის შემთხვევაში შეიძლება დავსვათ ასეთი სახალისო კითხვები:

კითხვა: რა სიტყვებს გაგონებთ ეს სიტყვა?

სავარაუდო პასუხები: აკრძალვა, აკრძალულია.

კითხვა: რას შეიძლება ნიშნავდეს „ნაკრძალი“?

სავარაუდო პასუხი: იქ ყოფნა აკრძალულია, იქ რაღაცის კეთება აკრძალულია და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებმა შეიძლება ვერ გამოიცნონ ზუსტი მნიშვნელობა, ადგენენ სიტყვათა ოჯახების კავშირებს და სხვა შემთხვევაშიც შეეცდებიან ხოლმე ამოცნობას. პრინციპი: პასიურად ცოდნის მიწოდება vs ლოგიკურად მსჯელობა და აღმოჩენა.

გ) უცხო სიტყვების კარგად დასამახსოვრებლად მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილის ბოლოს შესთავაზოს დამატებითი აქტივობა. მაგალითად: სიტყვების/ფრაზებისა და მათი შესაბამისი სურათების მისადაგება.

საჭირო საგანმანათლებლო რესურსების ჩამონათვალი:

<https://www.youtube.com/watch?v=29Ho5laa75U>

https://www.youtube.com/watch?v=6_cGu3kQJXA

დამატებითი ტექსტები და ილუსტრაციები (იხ.დანართების სახით)

გაკვეთილის მიმდინარეობა

შენიშვნა: მასალა ვრცელია და მოსწავლეთა ჯგუფის მახასიათებლების გათვალისწინებით, მასწავლებლებს სხვადასხვა დრო დაეხარჯებათ მის გასავლელად. მინიმალური სარეკომენდაციო დრო 2 აკადემიური საათია (80 წთ.).

აქტივობა 1. წინარეცოდნის გააქტიურება

მასწავლებელი მოსწავლეებს უსვამს კითხვებს:

კითხვები	სავარაუდო პასუხები
✓ რა არის საარსებო გარემო ✓ როგორია ბუნებრივი და ხელოვნური გარემო? ✓ რა მნიშვნელობა აქვს გარემოს ცხოველებისთვის?	✓ საარსებო გარემოა ადგილი, სადაც ცხოვრობენ ცხოველები და ფრინველები. ✓ ბუნებრივი გარემოა, რომელსაც ცხოველები ქმნიან და ხელოვნურია ადამიანის მიერ შექმნილი გარემო. მაგ.: ზოოპარკი. ✓ ყველა ცხოველს სჭირდება თავისი გარემო, რათა იარსებოს.

აქტივობა 2. ცხრილის შევსება მოსწავლეების დახმარებით - 7 წთ.

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, განმოთქვან აზრი, რა იციან გადაშენებული ცხოველებისა და ფრინველების შესახებ. ასევე - რა სურთ გაიგონ ამ საკითხზე. მოსწავლეების მოსაზრებებს მასწავლებელი გადაიტანს წინასწარ დიდ ფორმატზე მომზადებულ ცხრილში.

შენიშვნა: შესაძლებელია, მოსწავლეებმა თავად შეავსონ ცხრილი.

ვიცი	მინდა ვიცოდე	ვისწავლე

აქტივობა 3. ვიდეო რესურსის „რატომ გადაშენდნენ ცხოველები და ფრინველები“ - დეკოდირება

3.1. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ნახონ ვიდეოჩანაწერი https://youtu.be/6_cGu3kQJXA (00:46-3:24) და იპოვონ პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- რას შეეხება ვიდეოჩანაწერი?
პასუხი: გადაშენების პირას მყოფ ცხოველებს
- ბავშვების აზრით, კარგია თუ ცუდი, ზოგიერთი ცხოველი რომ ქრება?
პასუხი: ბავშვები ფიქრობენ, რომ ცხოველების გაქრობა ცუდია.

3.2. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ვიდეოჩანაწერის მიხედვით იპოვონ ფრაზების მნიშვნელობა.

დაუკავშირეთ ერთმანეთს ისრით:

ცხოველების გადაშენება	ბუნებრივი
ცხოველების გადაშენება	ხელოვნური

ადამიანები ცხოველებზე. შეიძლება ცხოველი გაქრეს.	ნადირობენ ამის გამო ზოგიერთი
ვულკანების წყალდიდობებისა მიწისძვრების ზოგიერთი შეიძლება გაქრეს.	ამოფრქვევის, და გამო ცხოველი

3.3. მონიშნეთ სწორი პასუხი:

- ცხოველები რომ დაიცვან, ადამიანები:
 - ა. ნადირობენ მათზე;
 - ბ. მათთვის ნაკრძალებს აწყობენ;
 - გ. მათზე ნადირობას კრძალავენ.
- თუ გვინდა, გავიგოთ, რომელი ცხოველია გადაშენების პირას:
 - ა. უნდა მოვძებნოთ წითელ ნუსხაში;
 - ბ. უნდა ვკითხოთ მონადირეებს;
 - გ. უნდა ვნახოთ ზოოპარკში.

3.4. თქვენი აზრით, რისი თქმა სურდათ ბავშვებს ამ ვიდეოჩანაწერით?

სავარაუდო პასუხი: ვიდეოში ბავშვები საუბრობდნენ ცხოველების გადაშენების მიზეზებზე და გვითხრეს, რომ ყველას შეუძლია დაიცვას ბუნება და თავისი წვლილი შეიტანოს.

შენიშვნა: ა. ვიდეოს სასწავლო მასალად გამოყენებისას აუცილებლად უნდა ახლდეს ინსტრუქცია. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რა ინფორმაცია უნდა იპოვონ ვიდეოჩანაწერში; ხომ არ არის საჭირო ყურადღება მიაქციონ ვიზუალურ გამოსახულებებს; რა კონკრეტული ინფორმაცია უნდა გაიგონ/დაიმახსოვრონ.

თუ მოსწავლეს წინასწარ არ იცის რა შეკითხვაზე ელიან მისგან პასუხს, შეიძლება ვერ მოახდინოს მედია-პროდუქტის დეკოდირება და მასწავლებელს დასჭირდება თავიდან ვიდეოს ჩვენება. ვიდეოს ჩართვამდე მოსწავლეებს გააცანით ან სთხოვეთ, წაიკითხოს კითხვა, რომელზეც უნდა უპასუხო.

ბ. ოთხი ქვეაქტივობის შესრულება ვიდეოს ერთხელ ნახვით ბავშვებს გაუჭირდებათ. რეკომენდებულია, მასწავლებელმა ვიდეოჩანაწერი მეორეჯერაც ჩართოს აქტივობების შესრულებისას.

აქტივობა 5

მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ვიდეოჩანაწერს <https://youtu.be/29Ho5Iaa75U>

ამ ვიდეოჩანაწერის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა შეავსონ ცხრილი:

ცხოველის სახელი	სად ბცხოვრობს ან სად ცხოვრობდა?	რატომ გადაშენდა ან რატომ არის გადაშენების პირას?	საინტერესო ინფორმაცია ამ ცხოველზე

აქტივობა 7. წერილობითი ტექსტის დეკოდირება

მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს ქვეჯგუფებად. თითოეულ ქვეჯგუფს აძლევს ტექსტს გადაშენებული ცხოველების შესახებ. მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ორი ან სამი გადაშენებული ცხოველი და და სხვა ქვეჯგუფებს წარუდგინონ ინფორმაცია მათ შესახებ.

აქტივობა 6. ინფორმაციის შეჯამება

მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად ავსებს ცხრილის „ვიცი, მინდა ვიცოდე და ვისწავლეს“ ბოლო სვეტს .

აქტივობა 8. საშინაო დავალება: მედიარესურსის შექმნა - კედლის გაზეთის დამზადება

მოსწავლეები ერთობლივად ან ქვეჯგუფებში დაამზადებენ კედლის გაზეთს. კედლის გაზეთის მოსამზადებლად გამოიყენებენ ადაპტირებულ საკითხავ მასალებს. ფოტოებით და ნახატებით გააფორმებენ გაზეთს.

გამოყენებული მასალა:

<https://zooclub.ambebi.ge/zuu/literatura/2794-saqarthvelos-tsitheli-tsigni.html>

<http://intermedia.ge>

[http://www.livepress.ge/ka/skhva-ambebi/article/22857-](http://www.livepress.ge/ka/skhva-ambebi/article/22857-gadashenebispirasmayofickhovelebifoto.html)

[gadashenebispirasmayofickhovelebifoto.html](http://www.livepress.ge/ka/skhva-ambebi/article/22857-gadashenebispirasmayofickhovelebifoto.html)

www.yuotube.com